ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #145

ქ. თბილისი 2 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის მიხეილ ხაჩიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი ორგანიზაცია") და მეორეს მხრივ შპს „იბერია სერვისი" – დირექტორის დავით ჯოხაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") წოდებული მხარეებად, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი
ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ავტოტექმომსახურების შესყიდვა (CPV50112000), სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ბალანსზე რიცხული შკოდას მარკის ავტომანქანისათვის ძრავის ზეთისა და ზეთის ფილტრი (SHKODA SUPER B, ს/კ TMBCE4NP7G7085111, წელი: 2016).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 156 (ასორმოცდათექვსმეტი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ადგილი და ეტაპობრივი ვადები
3.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი.
3.2. მიმოწდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარება
4.1ფაქტიურად გაწეული მომსახურებების შესაბამისად, მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც, "მიმწოდებელი" "შემსყიდველს" წარუდგენს ინვოისსა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.
4.2. შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების აღიარება (ცნობა) მოხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტულად გაწეული მომსახურების შემდეგ ორივე მხარისაგან ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტის, ინვოისისა და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები:
5.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი ინვოისი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.3. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ყოველთვიურად გაწეული მომსახურებების ჯამური ღირებულების შესაბამისად, 5.2. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6. გარანტია
6.1. თუ "მიმწოდებლის" მიერ სამუშაოები არაჯეროვნად იქნა შესრულებული ან შეცვლილი და/ან შეკეთებული სათადარიგო ნაწილები გამოავლენს დეფექტებს "მიმწოდებლის" მიზეზით, ხელახალ შეკეთებას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
6.2. გარანტია არ ვრცელდება "შემსყიდველის" მიერ ავტომანქანების შენახვის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის, ასევე გარეგანი ზემოქმედების შედეგად (მექანიკური ზემოქმედება, არაკვალიფიციური მოპყრობა და სხვა) მიყენებულ ზიანზე.
6.3. სამუშაოების ჩატარების დროს, სამუშაოების ჩატარებაზე შედარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკი ავტომანქანისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება "მიმწოდებელს".

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
7.1. ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" უფლებამოსილია:

7.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
7.1.2. აწარმოოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
7.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" ვალდებულია:
7.2.1. მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;
7.2.2. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს შესაკეთებელი ავტომანქანის დეფექტური აქტის შედგენა.
7.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
7.3.1. მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.
7.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.4.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სრულყოფილად, კეთილსინდისიერად და უნაკლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით;
7.4.2. ხარისხიანად და დროულად უზრუნველყოს ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება.
7.4.3. "შემსყიდველის" მიმართვისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება და წარუდგინოს "შემსყიდველს" დეფექტური აქტი ხელმოსაწერად.
7.4.4. შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა "შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
7.4.5. უზრუნველყოს დეფექტურ აქტში მითითებული სამუშაოების დაუყოვნებლივ შესრულება.
7.4.6. მომსახურება განახორციელოს თავისი სათადარიგო ნაწილებით.
7.4.7. სამუშაოების ჩატარების შემდეგ დაუყოვნებლივ გადასცეს "შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ავტომანქანა.
7.4.8. დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.4.9. საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით, ხოლო, „შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე აუცილებელი პერსონალით.

მუხლი 8. დაუძლეველი ძალა
8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხერშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით;
9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;
9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან;

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა
წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

10.1. მხარეთა შეთანხმება;
10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;
10.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 11. დავის გადაწყვეტა
11.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
11.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
12.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,2 (ნოლი მთელი, ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით,
12.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

მუხლი 13. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების კონტროლი
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სპეციალისტი ბექა მურღვლიანი.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. განსაკუთრებული პირობები
15.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს
15.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ,,მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება ,,შემსყიდველ ორგანიზაციაში".

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი ს/კ 204584404 მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა #7 სახელმწიფო ხაზინა	შპს „იბერია სერვისი" ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–11 კმ ს/ს საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE79BG0000000875689101 ს/კ 204982359
ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	დირექტორი
/მხეილ ხაჩიძე/	/დავით ჯოხაძე/